მონანულის შერიგება (აღსარება)

ფორმა ერთი

მონანული იწყებს:

მაკურთხე, რამეთუ შევცოდე.

მღვდელი ამბობს:

უფალი იყოს შენს გულში და შენს ბაგეებზე, რათა წრფელად და თავმდაბლად აღიარო შენი ცოდვები: სახელითა მამისა, და ძისა, და სულისა წმინდისა. ამენ.

მონანული:

ვაღიარებ ყოვლისშემძლე ღმერთის, მისი ეკლესიისა და შენს წინაშე, რამეთუ ჩემი ბრალეულობით ვცოდე ფიქრით, სიტყვითა და საქმით, ქმედებითა და უმოქმედობით; განსაკუთრებით კი _____ . ამ და სხვა ცოდვათა გამო, რომელსაც ახლა ვერ ვიხსენებ, წრფელად ვწუხვარ. ვლოცულობ რათა შემიწყალოს ღმერთმა. მტკიცეთ განვიზრახავ ცხოვრების გამოსწორებას და თავმდაბლად ვითხოვ მიტევებას ღმერთისა და მისი ეკლესიისაგან, შენ კი შეგთხოვ რჩევას, მიმართულებასა და შენდობას.

მღვდელი მისცემს რჩევას, მიმართულებასა და ნუგეშს.

შემდგომ მღვდელი წარმოთქვამს შენდობის ლოცვას:

ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ, რომელმაც მის ეკლესიას დაუტოვა ძალმოსილება რომ მიუტევოს ყველა ცოდვილს რომელიც ჭეშმარიტად ინანიებს და წამს მისი, თავისი დიდებული მოწყალებით მოგიტევა შენი ბრალეულობანი; მის მიერ ჩემზე

მონიჭებული უფლებამოსილებით, მე განთავისუფლებ შენ ყოველი შეცოდებისაგან: სახელითა მამისა, და ძისა, და სულისა წმინდისა. ამენ.

მღვდელი ამატებს:

უფალმა ჩამოგაშორა ყოველი შეცოდება.

მონანული:

მადლობა ღმერთს.

მღვდელი ამატებს:

წადი მშვიდობით და ილოცე ჩემთვის, ცოდვილისათვის.

შენდობის კურთხევა დიაკონის ან ღვთისმსახურების ლიდერის მიერ:

ჩვენი უფალი იესო ქრისტე, რომელიც ჩვენს გამო მსხვერპლად შეწირვით მიეძღვნა მამას, წმინდა სულის მადლით გპატიობს შენს შეცოდებებს. ამენ.